ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ 3-12/20130-16 20 03 2013 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, ჩოლოყაშვილის ქ.№53-ში, (საკ.კოდი №01.17.14.001.194) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (უმაღლესი სასწავლებლის მიზნით არსებული შენობის რეკონსტრუქცია) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, ჩოლოყაშვილის ქ.№53-ში, (საკ.კოდი №01.17.14.001.194) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

ფასადებზე შეცვლილია ზოგიერთი ფანჯრის ნახატი. ზოგ ადგილას ვერტიკალური და ჰორიზონტალური დეკორატიული დეტალები არ ემთხვევა საპროექტოს, ასევე შეცვლილია ზოგი ღებვის ფრაგმენტი. ზოგიერთი წყლის მილი არ არის მოწყობილი, ხოლო ზოგის მოწყობა არ არის დამთავრებული, ერთს მონაცვლებული აქვს ადგილი. დამატებულია გამწოვი მილები.

ფასადი „ა-პ" ღერძებში „ზ-ი" მონაკვეთში შესასვლელი კარის წინ შეცვლილია ბაქნის გაბარიტები. „ი-პ" მონაკვეთში არ არის მოწყობილი ცოკოლის ფრაგმენტი. „ნ-ო" მონაკვეთში ფანჯრის ღიობებს მონაცვლებული აქვს ადგილი. +3.95 ნიშნულზე „ზ-ი" მონაკვეთში გაზრდილია კაპიტალური მოაჯირის სიმაღლე.

ფასადი „პ-ა" ღერძებში „პ-თ" მონაკვეთში შენობის ძირში არ არის მოწყობილი ცოკოლი. „თ-ე" მონაკვეთში დამატებულია პანდუსი, ხოლო ბაქანი და კიბე მოპირკეთებულია. +3.95 ნიშნულზე „ი-ზ" მონაკვეთში გაზრდილია კაპიტალური მოაჯირის სიმაღლე. „მ-ლ" მონაკვეთში დამატებულია ერთი საკომუნიკაციო მილი. +4.85 ნიშნულზე „პ-ო" მონაკვეთში შემცირებულია ფანჯრის გაბარიტი სიმაღლეში. „ზ-ა" მონაკვეთში არსებულ შენობაზე არ არის მოწყობილი საპროექტო კარნიზი. ასევე გაუქმებულია გისოსები.

ფასადი „6-1" ღერძებში „4-3" მონაკვეთში შეცვლილია საპროექტო ხაზები. შეცვლილია არსებული ჭიშკრის ნახატი და გვერდითი კედლები შესაღებია.

ფასადი „1-6" ღერძებში „1-1" ღერძთან დამატებულია ღობის კედელი, შენობის ძირში დამატებულია საკომუნიკაციო მილები. „3-4" მონაკვეთში არ არის მოწყობილი საპროექტო ხაზები.

შენობის შიგნით ზოგიერთ ადგილას გარე კედლების სისქე შემცირებულია. კიბის უჯრედში შეცვლილია კიბის საფეხურების რაოდენობა. +3.95 ნიშნულზე „ზ-თ" მონაკვეთში შემცირებულია კაპიტალური მოაჯირების სისქე.

„2-2" ჭრილის ნახაზზე +10.90 ნიშნულზე სახურავის ქვეშ გადახურვა არ არის განსხვავებული კონტურით ნაჩვენები და მოწყობილია ხის კოჭები.

რენდერზე ნაჩვენები მოპირკეთება არ ემთხვევა არსებულს.

შენობის და ღობის ნაწილი გასულია საკადასტრო წითელი სზღვრიდან.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.პ. მე-2 მ. მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 23.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს

მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის, მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შ.პ.ს „თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი“-ს, ვალენტინა საყვარელიძეს ქ. თბილისში, ჩოლოყაშვილის ქ.№53-ში, (საკ.კოდი №01.17.14.001.194) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (უმაღლესი სასწავლებლის მიზნით არსებული შენობის რეკონსტრუქცია) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №12/20130-16 26.02.2013წ. განცხადება.

უფროსის მოადგილე ვ. მუჯირიშვილი